სსიპ-ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის უცხო ენის კათედრის

სხდომის ოქმი №10

04.07.2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კათედრის წევრები:

1.ირმა ოყროშიძე

2. ნანა კვიტაშვილი

3. თამილა გაჩეჩილაძე

4. სოფიო ჯულაყიძე

5. მაკა ტყეშელაშვილი

6. მარიამ ჭელიძე

7. მადონა ხონელიძე

8.ხათუნა ჯინჭარაძე
9.ნინო კაშია

**დღის წესრიგი:** 1. თვითშეფასების კითხვარების განხილვა 2.სუსტი მხარეების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

**მოისმინეს:** კათედრაზე შემავალი მასწავლებლების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული განხორციელებული აქტივობების შესახებ: ირმა ოყროშიძე, ნანა კვიტაშვილი, თამილა გაჩეჩილაძე, სოფიო ჯულაყიძე, მაკა ტყეშელაშვილი, მარიამ ჭელიძე, მადონა ხონელიძე, ნინო კაშია.

**განიხილეს:** აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები, თვითშეფასების კითხვარი და კათედრის წევრების სამოქმედო გეგმები. გამოიკვეთა კათედრაზე მუშაობის სუსტი მხარეები, მშობელთა ნაკლები ჩართულობა და დიფერენცირებული სწავლება.
**აზრი გამოთქვეს:** ნანა კვიტაშვილმა აღნიშნა რომ სასურველი იქნებოდა კათედრის მიერ შემუშავებულიყო ინსტრუმენტი რომელიც გაზრდის მშობელთა მეტად ჩართულობას.

ირმა ოყროშიძემ ისაუბრა მოსწავლეთა სწავლის პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით აქტივობების დიფერენცირების აუცილებლობის შესახებ.
მარიამ ჭელიძემ გამოთქვა აზრი კათედრის წევრებს შორის მჭიდრო ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ რაც ხელს შეუწყობს კათედრის სამოქმედო გეგმის უკეთ განხორციელებას.
მადონა ხონელიძემ აღნიშნა რომ ამ მიმართულებით გაძლიერების მიზნით სასურველი იქნებოდა კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის აქტიურად გამოყენება.

**იმსჯელეს:** გამოიკვეთა სუსტი მხარეები (მშობელთა ნაკლები ჩართულობა და დიფერენცირებული სწავლება) და დაესახეთ პრობლემის გადაჭრის გზები.

**დაადგინეს:** 1.მომდევნო სასწავლო წლიდან Forms–ის კითხვარისა და ელექტრონულ ჟურნალში „მიწერე მშობელს" ფუნქციის აქტიურად გამოყენება ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დაგეგმვა მშობლებთან საჭიროებისამებრ.
2.შეიქმნას მოსწავლეთა სასწავლო აქტივობები/რესურსები მოსწავლეების დონეების მიხედვით. კათედრის წევრებმა მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან( კრიტიკული მეგობრის ფარგლებში) , ერთობლივად შეიმუშაონ ,განახორციელონ და ანალიზის საფუძვლებზე მოახდინონ მოსწავლეზე ორიენტირებული შესაბამისი ცვლილებები.

კათედრის თავ-რე:  /მარიამ ჭელიძე/

სხდომის მდივანი:  / ნანა კვიტაშვილი/